



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-67

13/02/2018

ქ. თბილისი

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს „მეტალურგიული წარმოების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის, მათ შორის, წარმადობის გაზრდის და აგლომერაციის საამქროს მოწყობის პროექტზე“ სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-4 პუნქტის 4.9 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს „მეტალურგიული წარმოების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის, მათ შორის, წარმადობის გაზრდის და აგლომერაციის საამქროს მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

A handwritten signature in blue ink, consisting of several fluid, overlapping strokes that form a stylized representation of the name Giorgi Khanishvili.